იულონ გაგოშიძე

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

# წმინდა მიწაზე ქართული სიძველეების არქეოლოგიური გათხრების პერსპექტივები

არქეოლოგიური კუთხით წმინდა მიწის ქრისტიანულ სიძველეებს დღეს აქტიურად იკვლევენ ბერძენი და, განსაკუთრებით, ებრაელი არქეოლოგები. მათ მიერ გათხრილი ზოგიერთი ნამონასტრალი ამჟამად ტურისტულ ობიექტად არის გადაქცეული. ასეთია, მაგალითად, პალესტინის ერთ-ერთი უძველესი მონასტერი, რომელიც იუდეის უდაბნოში დაუარსებია წმ. ეფთვიმეს (377-473 წწ.) V ს-ის დასაწყისში, წმ. ხარიტონის მონასტერში მცირე ხანს ყოფნის შემდეგ. მონასტერი ძირითადად დასრულდა წმ. ეფთვიმეს გარდაცვალების შემდეგ, 478-481 წლებში.

ტურისტულ ობიექტად არის გადაქცეული აგრეთვე იქვე მახლობლად მდებარე მეორე მონასტერი, რომელიც წმ. ეფთვიმეს ერთ-ერთმა მოწაფემ, კაპადოკიელმა წმ. მარტვირიმ დააფუძნა 457 და 474 წლებს შორის. 474 წელს იგი უფლის საფლავის ეკლესიის წინამძღვრად, შემდეგ კი, 478 წელს იერუსალიმის პატრიარქად აირჩიეს. მაგრამ წმ. მარტვირის პატრიარქობის დროსაც არ შეუწყვეტია ზრუნვა თავის დაარსებულ სავანეზე, რომელიც მის ხელში პალესტინის ერთ-ერთ უბრწყინვალეს მონასტრად იქცა. იატაკები მონასტერში მთლიანად მოზაიკითაა მოგებული და უამრავი წარწერაა შემორჩენილი. მონასტრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კი პატრიარქს თავისთვის განცალკევებული სამყოფელი-რეზიდენცია მოუწყვია, ცალკე

1. წმ. ეფთვიმეს მონასტერი. იატაკის მოზაიკა (ფოტო დ. ცხადაძის)

სამლოცველოთი. ორივე ამ მონასტერში ქართველებიც მოღვაწეობდნენ.

მთელი რიგი მონასტრებისა წმინდა მიწაზე, რომლებიც ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდა, დღეს უკვე აღარ არსებობს და მათი ნანგრევების მიკვლევა, იდენტიფიცირება და შესწავლა არქეოლოგიური კვლევის გარეშე შეუძლებელია. არქეოლოგიური გათხრები წმინდა მიწაზე ამ თვალსაზრისითაც რომ უდავოდ პერსპექტიულია, ამის საუკეთესო საბუთია 2002 წლის სექტემბერში აქამდე სრულიად უცნობი უძველესი, V-VI საუკუნის ქართული ნამონასტრალის აღმოჩენა იერუსალიმის მახლობლად.

არქეოლოგიურად საყურადღებო ძეგლების კატეგორიას ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, შეჰანის მონასტერი ტრანსიორდანიაში, რომელიც XI საუკუნეში წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქად დაუარსებია გაბრიელ ტფილელს. მონასტერი, როგორც ჩანს, ადრევე იქნა მიტოვებული, ალბათ, მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ ისე, რომ იქ ქართველებს უცხოტომელი "მემკვიდრეები" (ბერძნები, სომხები...) არ ჩანაცვლებიან. ამდენად, მოსალოდნელია, რომ შეჰანის ნამონასტრალის არქეოლოგიური გათხრებით იქ მრავალრიცხოვანი ქართული სიძველეების, მათ შორის, ეპიგრაფიკული ძეგლების მიკვლევა მოხერხდება.

შეჰანის მონასტრის ნანგრევები, ქ-ნ ე. მეტრეველის თხოვნით, გასული საუკუნის 70-იან წლებში დაათვალიერა არქეოლოგმა გურამ გრიგოლიამ. შეჰანის არქეოლოგიური დაზვერვა ჩვენს ექსპედიციასაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ამჯერად არ მოხერხდა და ეს მომავლის საქმეა. რაც შეეხება თვით არქეოლოგიური გათხრის შესაძლებლობას, ისიც სავსებით რეალური ჩანს იორდანიელ კოლეგებთან თანამშრომლობის პირობით.

ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი მიზანი პეტრე იბერის ნაკვალევზე სიარული იყო და ეს პროგრამა, ცხადია, იმ ქართული მონასტრის მონახულებით უნდა დაგვეწყო, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ბეთლემის მიდამოებში გათხარა არქეოლოგმა ვირჯილიო

2. წმ. მარტვირის მონასტერი. ღერეფანი (ფოტო დ. ცხადაძის)

კორბომ და რომლის დაარსება პეტრე ქართველს მიეწერება. ეს მონასტერი ცნობილია უძველესი ქართული მოზაიკური წარწერებით, რომლებიც დღეს იერუსალიმში, ფრანცისკელთა მუზეუმშია გადატანილი.

ადგილი ბირ ელ კატი, სადაც გაითხარა ამ ქართული მონასტრის ნანგრევები, მდებარეობს შუა გზაზე იერუსალიმსა და ბეთლემს შორის. დღეს აქ, სამწუხაროდ, ფრონტის ხაზი გადის ისრაელსა და პალესტინას შორის და ნანგრევების დათვალიერება ჩვენ ისრაელელი სამხედროების თანხლებით მოგვიხდა. მონასტრის გათხრილი ნაშთები საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, ტერიტორია ფრანცისკელებს ეკუთვნის და გალავანშემოვლებულია. მონასტერი მთლიანად გათხრილი არ არის და იქ მცირე მასშტაბის საკონტროლო გათხრების ჩატარება,

3. წმ. მარტვირის მონასტერი. იატაკის მოზაიკა (ფოტო დ. ცხადაძის)

თუ კი ამის საჭიროება შეიქნა, სავსებით შესაძლებელია.

პეტრე იბერი 452 წელს მაიუმის ეპისკოპოსად ეკურთხა. ნანგრევები მაიუმის მონასტრისა, სადაც პეტრე იბერი მოღვაწეობდა, თანამედროვე ღაზას ფარგლებშია მოქცეული და არქეოლოგიურად უნდა იქნეს შესწავლილი. ამის თაობაზე ადრე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პალესტინელ არქეოლოგებთან, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების წამოწყება აქ, ცხადია, მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როდესაც დარეგულირდება პალესტინა-ისრაელის საომარი კონფლიქტი.

ღაზას სექტორში შესვლა ექსპედიციამ ამჯერად ვერ მოახერხა ომის გამო, მაგრამ ებრაელ კოლეგებთან ერთად მოვიხილეთ ღაზას მისადგომებთან, ნეგევის უდაბნოში განლაგებული ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები – შუა საუკუნეების რამდენიმე ნამონასტრალი, ზოგი გათხრილი, ზოგიც გაუთხრელი. ერთ-ერთი მათგანი, ხირბეთ-შარტა, როგორც ვარაუდობენ, უნდა ფარავდეს ზენონის მონასტრის ნაშთებს. ამ მონასტერში თავის დროზე ნამყოფია პეტრე იბერი, მაიუმის ეპისკოპოსი. ნამონასტრალს შედარებით მცირე ტერიტორია უკავია და ანაკრეფი არქეოლოგიური მასალით საკმაოდ ძველი ჩანს (V-VI სს.). ნეგევის უდაბნოს უდაბნო ჰქვია, თორემ ეს ისრაელის ერთ-ერთი ამწვანებული და ნაყოფიერი კუთხეა, ოდითგანვე მჭიდროდ დასახლებული. სწორედ ამის გამოა, რომ იუდეის უდაბნოსაგან განსხვავებით, აქ ნამონასტრალებზე თითქმის ყველგან მოზაიკური იატაკებია შემორჩენილი: კედლები საძირკვლიანადაა დაშლილი და ქვები ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ საშენ მასალადაა გატანილი. ასეთ მდგომარეობაშია ხირბეთ-შარტაც.

ღაზაში ვერ შევაღწიეთ, მაგრამ, მიუხედავად საომარი ვითარებისა, საქართველოს კონსულის ბ-ნ ლაშა ჟვანიას დახმარებით, რამალაში შესვლა მაინც შევძელით, სადაც ჩვენი გულთბილი მასპინძელი იყო ადგილობრივი არქიმანდრიტი მელეტიოსი, წარმოშობით პალესტინელი არაბი.

ქ. რამალას გარეუბანში არქიმანდრიტმა მელეტიოსმა გვაჩვენა ნანგრევები მონასტრისა, რომელიც არაბულ-პალესტინური წერილობითი ტრადიციის თანახმად ქართველებს დაუარსებიათ წმ. სტეფანეს საფლავზე, რომლის ადგილი იგულისხმება მონასტრის ქვეშ არსებულ ვრცელ მღვიმეში, სადაც დღეს ზეთსახდელის ვეება დოლაბია ჩაგორებული (იერუსალიმის კარიბჭესთან ჩაქოლილი პირველ-მოწამის წმ. სტეფანეს

საფლავს ორ სხვადასხვა ადგილას უჩვენებენ იერუსალიმის მახლობლად, ეს კი მესამეა).

ნანგრევებს 100X50 მ ფართობი უკავია და ეს ტერიტორია ამჟამად იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს საკუთრებად ითვლება. არქიმანდრიტი აქ თავისი რეზიდენციისა და სასტუმროს აშენებას აპირებს და, ამდენად, ნამონასტრალის წინასწარი არქეოლოგიური გათხრა-შესწავლა სრულიად აუცილებელია და, ალბათ, ეს მოხერხდება კიდეც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ. რამალას ნამონასტრალის არქეოლოგიური გათხრების მსურველი (და დამფინანსებელი) ადვილად მოიძებნება, მაგრამ სასურველია ამ გათხრებში ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა.

ეკლესია, რომლის ნანგრევები ამ ფართობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოირჩევა, თავისი გეგმარებით ადრეული შუა საუკუნეებისა ჩანს. იმავე ხანას განეკუთვნება ნამონასტრალზე ჩვენს მიერ აკრეფილი არქეოლოგიური კერამიკული მასალაც.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნაყოფიერი უნდა იყოს წმინდა მიწაზე ქართველთა უმთავრესი სავანის, წმ. ჯვრის მონასტრის ადრეული ისტორიის შესასწავლადაც. ის მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები, რაც აქ ბერძნებმა განახორციელეს, საკმაოდ სუსტად არის დოკუმენტირებული და არ იძლევა დამაჯერებელ პასუხს კითხვაზე, თუ რა იდგა წმ. ჯვრის მონასტრის ადგილას XI საუკუნემდე, როცა აქ გიორგი-პროხორე შავთელმა მონასტრის შენება დაიწყო.

4. რამალა. წმ. სტეფანეს მონასტრის ნანგრევები. (ფოტო გ. გაგოშიძის)

ჩვენს მიერ განხორციელებული ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვის შედეგები ჯვრის მონასტრის ვრცელ ეზოში, სადაც პალესტინური გადმოცემით არსებული ლოტის მღვიმეა მოსაძებნი, იძლევა უფლებას, გამოითქვას ვარაუდი, რომ ეს ტერიტორია ინტენსიურად იყო ათვისებული უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში: აქ აკრეფილი კერამიკული მასალა იდენტურია ბირ ელ-კატის V-VI საუკუნის ქართული მონასტრის გათხრებით მოპოვებული კერამიკისა. რა ხასიათისა იყო ხსენებული დასახლება და რა კავშირი ჰქონდა მას წმ. ჯვრის მონასტრის ადგილას არსებულ ძველ ეკლესიასთან, ეს არის კითხვები, რომლებზედაც დამაჯერებელი პასუხის გაცემა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შემდეგ შეგვეძლება.

5. წმ. ეფთვიმეს მონასტრის ნანგრევები (ფოტო დ. ცხადაძის)